განკარგულება:**g-27.27213123**
თარიღი:**08/11/2021**

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 73

08 ნოემბერი 2021 წ.

ქ. თელავი

თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შ.პ.ს. „საფეხბურთო კლუბი თელავი“-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით, პირობიანი უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე

„მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტების შესაბამისად,

1. მიეცეს თანხმობა თელავის მუნიციპალიტეტის მერს, შ.პ.ს. „საფეხბურთო კლუბ თელავს“ (ს/კ 405158975) პირდაპირი განკარგვის წესით, პირობიანი უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 2 (ორი) წლის ვადით, სარგებლობაში გადასცეს ქალაქ თელავში, ლეონიძის ქუჩა №18-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 8609 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 53.20.42.682).

2. პირობა: უზუფრუქტუარმა 2 (ორი) წლის განმავლობაში განახორციელოს ქ. თელავში, ლეონიძის ქუჩა №18-ში მდებარე შენობა-ნაგებობის (საკადასტრო კოდი: 53.20.42.680) III სართულის (342.4 კვ.მ) კაპიტალური რემონტი.

3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის №41).

არჩილი თხლაშიძე

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი